09/05/2019

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ა.წ. 8 მაისს საპატრიარქოში საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმა, რომელიც ითვალისწინებს მახათას მთაზე ერთობლივი საგანმანათლებლო-სამუზეუმო სივრცის შექმნას.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მამუკა ბახტაძემ და საზოგადოება ,,ივერიისას" თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი თავაძემ.

როგორც მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, ისე პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვეს, რომ ახალი საგანმანათლებლო-სამუზეუმო ცენტრი მალე აშენდება და იგი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი მომავალი თაობის სულიერ-ინტელექტუალურ აღზრდას.

patriarchate.ge